



თსუ-ს სტუდენტის სამახსოვრო ბარათი

თსუ-ს მისია

თსუ-ს მისიაა გაზარდოს თანამედროვე ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების მქონე სამედიცინო დარგის პროფესიონალები სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოსა და საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის გზით.

თსუ-ს სტუდენტის სამახსოვრო!

გთავაზობთ ინფორმაციას აკადემიის იმ სამსახურების, სერვისების და საკონტაქტო პირების შესახებ, რაც აკადემიაში სწავლის პერიოდში შეიძლება დაგჭირდეთ, აგრეთვე მოკლედ გააცნობთ სტუდენტის სტატუსთან და ქცევის წესებთან დაკავშირებულ რეგულაციებს

თსუ-ში არსებული სერვისები სტუდენტებისთვის

- ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ მიმართოთ სტუდენტების საკონსულტაციო სამსახურს. სამუშაო საათები - ორშაბათი-პარასკევი 15.00-17.00, შეხვედრის დრო წინასწარი შეთანხმებით, საკონტაქტო პირი - ხათუნა ხატიაშვილი; 555517634 kh.khatiashvili@tma.edu.ge
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ მიმართოთ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორს - მაკა ბერაძეს; სამუშაო საათები - ორშაბათი-პარასკევი 10.00-18.00; maka.beradze@tma.edu.ge; 577508565
- თსუ-ში არსებობს კარიერული მხარდაჭერის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციაა გაუწიოს სტუდენტებს კონსულტაცია კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებით და ხელი შეუწყოს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებას, საკონტაქტო პირი - ალექსანდრე მუკათარიძე; 579699999
- თსუ-ს ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე - ორშაბათი - პარასკევი 09:00-დან 21:00 საათამდე, შაბათი 10:00-დან 18:00 საათამდე. თქვენთვის სასურველი ლიტერატურა შეგიძლიათ წინასწარ მოიძიოთ თსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ ელექტრონულ კატალოგში შემდეგ მისამართზე <http://tma.edu.ge/obiblio/opac/index.php>.
- აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებულ ან სხვა ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ მისწეროთ შეტყობინება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (www.tma.ini.ge) ადმინისტრაციულ/პედაგოგიურ პერსონალს და მიიღოთ პასუხი სახლიდან გაუსვლელად; შეტყობინების ველში არსებულ კომუნიკატორში ირჩევთ თქვენთვის სასურველ ადრესატს და უგზავნით შეტყობინებას
- შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ პედაგოგებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის (საგამოცდო საკითხების გარჩევა და სხვა სახის კონსულტაცია) გამოყოფილია საათები, რის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორებთან, ან უშუალოდ პედაგოგთან.
- სწავლის საფასურის გადახდის ვადებთან და პირობებთან (სტუდენტზე მორგებული ინდივიდუალური გრაფიკის შედგენა) დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ - საფინანსო სამსახურის უფროსს ეთერ აფციაურს, ყოველდღე 16.00-17.00 სთ
- გაცვლით პროგრამებზე და საზღვარგარეთ კლინიკებში სტაჟირებებთან დაკავშირებით მიმართეთ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, საკონტაქტო პირი - ხათუნა ხატიაშვილი; 555517634, kh.khatiashvili@tma.edu.ge



თსუ-ს სტუდენტის სამახსოვრო ბარათი

- სტუდენტური აკადემია წარმოადგენს სტუდენტთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც შექმნილია სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის, სტუდენტური ინიციატივების წახალისებისა და ხელშეწყობის და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების/შენარჩუნების მიზნით. საკონტაქტო პირები - გიორგი კიკვაძე - 593171177;
- სტუდენტთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, თსუ-ს შენობის პირველ სართულზე კლინიკური უნარ-ჩვევების და ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდების ცენტრში ფუნქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტი, აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით და ინვენტარით. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ აკაკი სეფაშვილს- 599890043

სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები

(დაწვრილებით იხილეთ თსუ-ს ვებ.გვერდზე განთავსებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში <http://tma.edu.ge/geo/mrul.pdf>)

სტუდენტის სტატუსის შეჩერება

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;
- უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
- სწავლის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში თსუ-ში გამოუცხადებლობა;
- უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა თსუ-ს სტუდენტ(ებ)ის, პედაგოგიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ ან ქცევის კოდექსით დადგენილი სხვა ნორმ(ებ)ის დარღვევა;
- ფინანსური დავალიანება - სწავლის საფასურის დათქმულ ვადაში გადაუხდელობა;

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
- 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;
- პირადი განცხადება;
- ერთი და იმავე სასწავლო კურსის ზედიზედ 3-ჯერ გავლა (ზამთარ/ზაფხულის სკოლის ჩათვლით) და კრედიტის ვერ მიღება;
- უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა თსუ-ს სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ ან სხვა, თსუ-ში მოქმედი ქცევის კოდექსის შესაბამისად დადგენილი ნორმების დარღვევა;
- გარდაცვალება

სტუდენტის სტატუსის აღდგენა

სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის განცხადების საფუძველზე სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო გონივრულ ვადაში (სემესტრის დაწყებიდან 4 კვირა)



სტუდენტს აქვს მობილობის უფლება

- მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ.
- მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს წელიწადში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე დადგენილი წესით, დადგენილ ვადებში.
- შიდა მობილობის უფლება სტუდენტს აქვს სწავლების პირველივე სემესტრიდან დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ.გვერდს: www.eqe.gov.ge

საგანმანათლებლო პროგრამა - სამკურნალო საქმე - ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი - Medical Doctor, მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია **მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.**

პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი (12 სემესტრი), ასათვისებელი კრედიტების (ECTS) მოცულობა - 360, სემესტრში 30 კრედიტი, წელიწადში 60 კრედიტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შესაძლებელია სტუდენტმა აითვისოს კრედიტების განსხვავებული რაოდენობა, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტი წელიწადში.

განმეორებითი სწავლების, მობილობით ჩარიცხვის, ან სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს აქვს უფლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სემესტრში აითვისოს კრედიტების განსხვავებული რაოდენობა სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით.

თსა-ში სასწავლო წელი ორსემესტრიანია - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრები. თითოეულ სემესტრში არის 20 კვირა, საიდანაც 15 კვირა გათვალისწინებულია სააუდიტორიო მეცადინეობებისთვის, 1 კვირა (მე-8 კვირა) - შუალედური გამოცდებისთვის. სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდგომ 4 კვირა გათვალისწინებულია დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის

სტუდენტთა ცოდნის შეფასება 100 ქულიანია;

(დეტალურად იხილეთ თსა-ს ვებ.გვერდზე განთავსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში <http://tma.edu.ge/geo/mrul.pdf>)

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა

შუალედური შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტებით:

ა) შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 20 ქულა;

ბ) მიმდინარე აქტივობა - მაქსიმუმ 35 ქულა;

გ) დასწრების კომპონენტი - მაქსიმუმ 5 ქულა

შუალედური გამოცდა ტარდება საგამოცდო ცენტრში ერთჯერადად (20 ქულა). შუალედური გამოცდისთვის გამოყოფილია ცალკე კვირა - სემესტრის მე-8 კვირა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა უფლება გავიდეს შუალედურ გამოცდაზე სემესტრის მე-9 კვირაში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დეკანი.

მიმდინარე აქტივობა შეადგენს 35 ქულას. საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით აღნიშნულ კომპონენტში ქულათა გადანაწილება და გამოკითხვის ჯერადობის განსაზღვრა ხდება პედაგოგის მიერ და დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში. (სილაბუსებს გაეცნობით პედაგოგებთან/დეკანატში)

სტუდენტს უფლება აქვს **გაასაჩივროს მიმდინარე შეფასება**, რისთვისაც მან განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს.



თსა-ს სტუდენტის სამახსოვრო ბარათი

თუ სილაბუსში შეფასების კომპონენტებში მითითებულია პრეზენტაცია/რეფერატი აუცილებლად შემოწმებულ უნდა იქნეს **პლაგიატზე** ქვევის კოდესით დადგენილი წესის თანახმად

სტუდენტი ვალდებულია აღნიშნული ნაშრომი წარადგინოს IT სამსახურში, სადაც მისი ნაშრომი შემოწმდება პლაგიატზე და პლაგიატის არ არსებობის შემთხვევაში უფლება მიეცემა წარუდგინოს ლექტორს და მიიღოს შესაბამისი შეფასება.

იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომს არ წარადგენს IT სამსახურში, ელექტრონულ სისტემაში შეფასების შესაბამისი გრაფა დაბლოკილი დარჩება და სტუდენტი ვერ შეძლებს შეფასება მიიღოს.

დასწრების კომპონენტი ფასდება 5 ქულით. სტუდენტი 5 ქულას იღებს იმ შემთხვევაში თუ ესწრება მეცადინეობების 80%. იმ შემთხვევაში თუ დასწრება 80%-ზე ნაკლებია აღნიშნული კომპონენტი ფასდება 0 ქულით.

კლინიკური სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები უმნიშვნელოდ განსხვავებულია, დაწვრილებით გაეცნობით შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში და პედაგოგთან.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასების მაქსიმალური 60 ქულიდან მოაგროვებს მინიმუმ 31 ქულას.

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მიიღებს 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულას. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გავიდეს გამოცდის ორივე კომპონენტზე. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი გადალახავს 50%-იან ზღვარს. ერთ-ერთ კომპონენტში ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტი აბარებს დამატებით გამოცდას ამ კონკრეტულ კომპონენტში. ერთ-ერთი კომპონენტის ვერ ჩაბარების შემთხვევაში კომბინირებული გამოცდა არ ითვლება ჩაბარებულად

შეფასების სისტემა უშვებს 5 სახის დადებით (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, საკმარისი) და ორი სახის უარყოფით (ვერ ჩააბარა, ჩაიჭრა) შეფასებას:

91-100 ფრიადი - (A)

81-90 ძალიან კარგი - (B)

71-80 კარგი - (C)

61-70 დამაკმაყოფილებელი - (D)

51-60 საკმარისი - (E)

41-50 ვერ ჩააბარა-(Fx) - ეძლევა განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება

0-40 ჩაიჭრა- (F)

დამატებით გამოცდაზე (განმეორებითი დასკვნითი გამოცდა) გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგით დააგროვა 41-დან 50-მდე ქულა. დასკვნით და დამატებითი გამოცდას შორის შუალედი არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგით 41 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში სტუდენტმა განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.

სტუდენტს აქვს უფლება **გაასაჩივროს** გამოცდაზე მიღებული შედეგი, შეფასების გაცნობიდან 3 დღის ვადაში, რისთვისაც მან განცხადებით უნდა მიმართოს საგამოცდო ცენტრის კოორდინატორს. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თსა-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანართში.

ბონუს ქულა - მაქსიმუმ 5 ქულა, არის დამატებითი ქულა, რომელსაც სტუდენტი იღებს დასკვნითი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში. ბონუს ქულის გაანგარიშება ხდება მიმდინარე აქტივობისა და დასწრების კომპონენტის (კლინიკური საგნების შეფასების შემთხვევაში - თავისუფალი კომპონენტის) ჯამის მიხედვით.

შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ პედაგოგებთან **ინდივიდუალური მუშაობისთვის** (საგამოცდო საკითხების გარჩევა და სხვა სახის კონსულტაცია) გამოყოფილი საათების შესახებ ინფორმაცია მიიღეთ სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორებთან, ან უშუალოდ პედაგოგთან.

თსა-ში ფუნქციონირებს ზამთრის/ზაფხულის სკოლა



თას-ს სტუდენტის სამახსოვრო ბარათი

სტუდენტს, რომელმაც გაიარა სასწავლო კურსი, მაგრამ ვერ მიიღო კრედიტი, ეძლევა საშუალება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არდადეგების პერიოდში განმეორებით გაიაროს აღნიშნული სასწავლო კურსი.

ზამთრის/ზაფხულის სკოლის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია გაიაროს:

ერთი პრერეკვიზიტული სასწავლო კურსი ან ერთი პრერეკვიზიტული და ერთი არაპრერეკვიზიტული სასწავლო კურსი;

სემესტრის შედეგების მიხედვით რამდენიმე სასწავლო კურსში კრედიტის ვერ მიღების შემთხვევაში სტუდენტს აქვს უფლება:

ა) დარჩეს სემესტრში განმეორებითი სწავლებისთვის და გაივლის მხოლოდ იმ სასწავლო კურსებს რომლებშიც კრედიტი ვერ აითვისა.

ბ) გააგრძელოს სწავლა მომდევნო სემესტრში და არ დაიშვას იმ სასწავლო კურსებზე რომლის წინაპირობებიც დარჩენილი საგნებია, ამავდროულად შეუძლია გაიაროს წინა სემესტრში აუთვისებელი სასწავლო კურსები.

სტუდენტს რომელიც დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ 360 კრედიტს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი და გადაეცემა დიპლომი და დანართი. კურსდამთავრებულს, რომლის GPA 3.5 და მეტია, გადაეცემა დიპლომი „წარჩინებით“.

სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადაში ვერ დააგროვა 360 კრედიტი, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო ორი სემესტრის განმავლობაში.

თსა სთავაზობს სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ **არჩევით სასწავლო კურსებს**. სტუდენტი, სემესტრის დასრულებამდე ბოლო 1 კვირის განმავლობაში, უფლებამოსილია შეზღუდვის გარეშე აირჩიოს მომავალი სემესტრის არჩევითი სასწავლო კურსებიდან ერთ-ერთი, მისთვის სასურველი სასწავლო კურსი. იმისათვის რომ შედგეს ჯგუფი, არჩევით სასწავლო კურსზე უნდა დარეგისტრირდეს არანაკლებ 8 სტუდენტი, კონსულტაციისთვის მიმართეთ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორს.

აკადემიას შემუშავებული აქვს **სტუდენტის პროფესიული ქცევის კოდექსი**, რომლის დაცვა სავალდებულოა თითოეული სტუდენტისთვის, როგორც ერთმანეთთან, ასევე პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ურთიერთობისას. სტუდენტის მხრიდან არამართლზომიერი ქმედების ან საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალიდან ინიშნება საგამომძიებლო ოფიცერი ბრალდების სპეციფიკის, სიმძიმის და გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც ჩაატარებს მოკვლევას.

საგამოცდო ცენტრში სტუდენტი ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

-გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე.

-რეგისტრაციის გასავლელად სავალდებულოა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა

-გამოცდაზე შესვლისას სპეციალურ კარადებში დატოვოს საკუთარი ნივთები (ჩანთა, წიგნი, კონსპექტი, მობ.ტელეფონი და სხვა)

-იკრძალება გამოცდის მსვლელობის დროს ნებისმიერი სახით ინფორმაციის გაცვლა (ვერბალური/ქესტური), ხმამაღლა ნათქვამი ფრაზა, ან მინიშნება, რაც ჩაითვლება კარნახის მცდელობად, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და შედეგი შეფასდება ნული ქულით.


-საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს აქვს უფლება ხელის აწევით მოიხმოს საგამოცდო ცენტრის დამკვირვებელი და დაუსვას მას გამოცდასთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის შეკითხვა.

-საპატიო მიზეზით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს აქვს უფლება დეკანს მიმართოს წერილობითი განცხადებით, რასაც დაურთავს საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს, ასეთ შემთხვევაში მას ეძლევა გამოცდაზე გასვლის უფლება და ენიშნება გამოცდა საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.



თსა-ს სტუდენტის სამახსოვრო ბარათი

აკადემიაში მოქმედებს სტუდენტების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, რომლებიც მოიაზრებს შემდეგს:



მარეგულირებელი დოკუმენტების გასაცნობად და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ თსა-ს ვებ.გვერდს: www.tma.edu.ge

საკონტაქტო ტელეფონი: 2912484; 2746409

გისურვებთ წარმატებებს!